852 № 11905

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 1 ნოემბერი 1994 № 59 (134) | ფასი სახელშეკრულებო



## სერგო კუტივაძე თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი

დაიბადა 1944 წლის 16 ოქტომბერს ალმა-ათაში. ფეხბურთის თამაში დაიწყო ქუთაისში კარლო ხურციძესთან (1958 წ). თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1962-66 წლები. 128 მატჩი უმაღლეს ლიგაში, 9 გოლი) და თბილისის „დინამოში“ (1967-72, 119 მატჩი, 13 გოლი). 20 მატჩი სსრკ თასზე (1 გოლი), 32 ამხანაგური მატჩი (8გოლი). სსრკ ნაკრებში ითამაშა 1 მატჩი (1965 წ. 4 სექტემბერს მოსკოვში, იუგოსლავიასთან). 1967, 69 და 71 წლებში მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები. 1974-84 წლებში მუშაობდა „დინამოში“ მეორე მწვრთნელად და გუნდის უფროსად.



### ასე გამოიყურებოდა «დინამოს» სკამი ბოლო ხანს. 6 ნოემბრიდან გუნდის ხელმძღვანელობას შემჭიდროვება მოუწევს: რუსთავში თამაშზე თავის ადგილს ახალი მთავარი მწვრთნელი დაიკავებს

„დინამოს“ უმწვრთნელოდ ყოფნის ორკვირიანი პერიოდი დასრულდა. კვირას, 12 საათზე კლუბის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ფეხბურთელებს წარუდგინა ახალი მთავარი მწვრთნელი — სერგო კუტივაძე. გაამართლებს თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილება - მომავალი გვიჩვენებს, მე კი ახლა მერაბ ჟორდანიას იმაზე ვესაუბრები, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს ჩვენს გულშემატკივარს...

**— ვის ეკუთვნოდა სერგო კუტივაძის „დინამოში“ მოწვევის იდეა?**

— იდეა ჩემი იყო, რამდენიმე კანდიდატურიდან, კლუბის დირექტორატთან შეთანხმებით, არჩევანი სერგო კუტივაძეზე შეჩერდა.

**— რამდენად გამართლებულია მისი მოწვევა, ბატონ სერგოს ხომ არასოდეს უმუშავია მთავარ მწვრთნელად, თანაც, ბოლო ათი წელი ფეხბურთს ჩამოცილებული იყო.**

— ჩვენი ნდობა ეყრდნობა მის ერუდიციას, ფეხბურთის ცოდნას, პატიოსნებას და სხვა მრავალ დადებით თვისებას. მე მასთან ადრე მიმუშავია, ვიცი, რომ „დინამოს“ უდიდეს წარმატებაში სერგო კუტივაძის წვლილი არცთუ მცირე იყო. მეც და იგიც დღეს ძალიან ვრისკავთ, რამდენად გაგვიმართლებს, მომავალი გამოაჩენს.

**— არ სჯობდა, რუსეთიდან მოგვეწვია მწვრთნელი?**

— ვფიქრობ, ამ ეტაპზე უმჯობესია საქართველოდან იყოს.

**— რა ხნით მოიწვიეთ ბატონი სერგო გუნდში?**

— ვალდ[illegible] არ დაუ[illegible]თქვამს. პირადად მას სიტყვაც არ დაუძრავს პირობებზე, რაც ასევე სასიკეთოდ მეტყველებს მის პიროვნებაზე.

**— ვისთან მოუწევს ურთიერთობა და მუშაობა ახალ მწვრთნელს, რა მდგომარეობაშია დღეს დინამოელთა შესაძლო ტრანსფერები?**

— ტყუპები უახლოეს მომავალში გაემგზავრებიან ტრაპიზონს. ცოტ-ცოტა ჩვენც დავთმეთ, მათაც და „ტრაბზონსფორის“ ხელმძღვანელებმაც. ყაველაშვილი და რევიშვილი ზამთრის დამდეგს გაემგზავრებიან ვლადიკავკაზს, როდესაც „სპარტაკი“ მოსამზადებელ პერიოდს დაიწყებს. რეზო არველაძე და ინალიშვილი გერმანიის მესამე დივიზიონის „ტენის-ბორუსიაში“ ითამაშებენ, ბერლინში. ამ კლუბში გადავიდა ჩვენი ძველი მეგობარი, „ზაარბრიუკენის“ ვიცე-პრეზიდენტი შვარცკოფი. იგი ბერლინელია და განიზრახა თავის ქალაქში შექმნას გუნდი, რომელიც ბუნდესლიგაში გადავა და მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. „ტენის ბორუსიას“ ამჟამად შვარცკოფი და ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი ვაიტი [illegible]ლობენ. ისინი ამ კლუბისა და „დინამოს“ დამეგობრებას გვთავაზობენ, რათა „ტენის ბორუსია“ ერთგვარი ევროპული ფორპოსტი გახდეს „დინამოსთვის“.

**— „დინამოს“ მიზანი კვლავ „დუბლი“ იქნება?**

— წინა წლებთან შედარებით ახლა ეს ერთობ საძნელოა, მაგრამ ერთერთიც რომ მოვიპოვოთ, ან თასი, ან ჩემპიონობა, ვფიქრობ, ესეც დიდი წარმატება იქნება.

...წარდგენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ სერგო კუტივაძემ პირველი ვარჯიშიც ჩაუტარა „დინამოს“. ვარჯიშის დამთავრებისთანავე დინამოელთა რიგით მეოცე მწვრთნელს რამდენიმე [illegible]ვით მივმართე.

**— როგორ შეხვდით თქვენს დანიშვნას „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად?**

— არ ველოდი, ბევრი ვიფიქრე, სანამ დავთანხმდებოდი. ძნელია, მოხვიდე გუნდში, საიდანაც რამდენიმე საუკეთესო მოთამაშე წავა. თუმცა, კარგი ახალგაზრდები გვყავს, შევეცდები, ყველაფერი გავაკეთო, რათა ამ დანაკლისმა შედეგზე არ იმოქმედოს.

**— ათი წელი, „დინამოდან“ წასვლით სად იყავით ამ ხნის განმავლობაში?**

— შინაგან საქმეთა სამმართველოში ვმუშაობდი.

**— რას ისახავს ახალი მწვრთნელი?**

— უნდა ვიბრძოლოთ უმაღლესი მიზნებისთვის, თუმცა ძალზე გაგვიჭირდება. ჩვენი სუსტი წერტილი დაცვაა, თუ შელიაც წავიდა, მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდებით. სამწუხაროდ, საქართველო მხოლოდ ფორვარდების ქვეყანაა. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დიდი სასელექციო მუშაობა მოგველის.

**— გუნდში თემურ ჩხაიძე დაგხვდათ, სხვა მწვრთნელსაც ხომ არ მოიწვევთ?**

— დღეს ვესაუბრე ერთ პიროვნებას, რომელიც დამპირდა, მოვიფიქრებო. ორიოდ დღეში შევიტყობ, თანახმაა თუ არა (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საუბარია ბატონ ბორის სიჭინავაზე. მ.კ.).

**— თქვენ ნოდარ ახალკაცის დროს „დინამოს“ მეორე მწვრთნელი იყავით. ასეთ ცნობილ სპეციალისტთან მუშაობა ალბათ ძალზე საინტერესო იყო. მას თქვენ მასწავლებლად თვლით?**

— ნოდარ ახალკაცისგან ბევრი ვისწავლე. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ისეთ აღიარებულ სპეციალისტთან მუშაობა, როგორიც მიხეილ იაკუშინია.

**— დინამოელთა საწვრთნელ ციკლს ხომ არ შეცვლით, მაგალითად, ორჯერად ვარჯიშებზე ხომ არ გადახვალთ?**

— ახლა დღე იკლებს და ვფიქრობ, ერთჯერადი ვარჯიშები, ოღონდ მეტი დატვირთვით, საკმარისია. თუმცა, დრო გვაჩვენებს. გუნდში რამდენიმე საათის მოსული ვარ და მეძნელება ამაზე საუბარი. გავა დრო და კვლავ შევხვდეთ...

მამუკა ქვარაცხელია

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო



## «შევარდნების» გადაფრენა

ეროვნული ნაკრებისა და „შევარდენი 1906“-ის მეკარე აკაკი დევაძე და მისი თანაკლუბელი კოტე მელქაძე უკრაინას გაემგზავრნენ და ლუგანსკის „ზარიაში“ გაესინჯნენ. ამ ოდესღაც სახელოვან კლუბში ქართველებისთვის ესეც უთქვამთ: გაცილებით ძლიერ გუნდშიც შეგიძლიათ თამაშიო და არაა გამორიცხული ისინი [illegible] კიევის „დინამოში“ ან დონეცკის „შახტიორში“ რომ [illegible] ერთი შევარდენელი მამია ჯიქია ავსტრიაში, [illegible] ითამაშებს.

## ცნობა ბუნდოვანია, მაგრამ აშკარაა...

„სარბიელის“ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ აფხაზეთის ტელე-რადიოს ცნობით, მათთან ტურნე გაუმართავს ტრაპიზონის ერთ-ერთ საფეხბურთო გუნდს. ამ ფაქტის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს დავით კვინიკაძეს. მან გვაცნობა, რომ ფედერაციის აღმასკომს ბოლო სხდომაზე უმსჯელია ტრაპიზონელთა აფხაზეთში „გასეირნების“ თაობაზე. ინფორმაცია ერთობ ბუნდოვანი ყოფილა, კერძოდ, ზოგ აფხაზურ წყაროს სტუმარი თურქეთის მეოთხე ლიგაში მოასპარეზე ტრაპიზონულ კლუბად, ზოგს კი ამ ქალაქის ახალგაზრდულ ნაკრებად მოუხსენიებია. ისიც უთქვამთ, ტურნესთან თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას კავშირი არა აქვს, „გასტროლიორი“ ტურისტული ფირმამ „არხამ აქშიმ“ ჩამოიყვანაო. იმასაც ამბობენ, თურქებს აფხაზეთში „ტრაბზონსფორის“ პრეზიდენტი მუსტაფა ერდაში ახლდაო. ჩვენი ცნობით, „ტრაბზონსფორს“ ამჟამად პრეზიდენტი არ ჰყავს და მის მოვალეობას ვინმე ფარუკ ოზაკ[illegible]ასრულებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავისი აღშფოთება თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას შეატყობინა და ისიც შეახსენა, რომ ასეთი მოქმედება ფიფა-ს წესების უხეში დარღვევაა. ცნობილია აგრეთვე, რომ აფხაზები 1-4 ნოემბერს აპირებენ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობას, სადაც მოლდოვას, ყაზახეთის და ბელარუსის გუნდები ჰყავთ მიწვეული. ამასთან დაკავშირებით, ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ დაუკავშირდნენ ფიფა-ს ვიცე პრეზიდენტს ვიაჩესლავ კოლოსკოვს.

სხდომაზე აღმასკომს სხვა საკითხებიც განუხილავს, რომელთა შორის საგულისხმოა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დამატებით ორი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება. ერთი პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებას, მეორე [illegible] საფინანსო-კომერციულ საქმიანობას უხელმძღვანელებს. ახალ ვიცე-პრეზიდენტთა ვინაობა ჯერ უცნობ[illegible]

## აზერბაიჯანს შინ თამაში აუკრძ[illegible]ეს

აზერბაიჯანში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ[illegible]მადაც აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდს ეკრძალება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შინ გამართვა. უეფამ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვა, პარასკევამდე დაესახელებინა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქი, სადაც მეტოქეებს უმასპინძლებდა. გუშინ დავუკავშირდით ბაქოს და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსს ჰალიდ ნოვრუზოვს ვესაუბრეთ. მისი თქმით, აზერბაიჯანის ფეხბურთის თავკაცი ფუად მუსაევი... თურქეთს გამგზავრებულა და ტრაპიზონში საქმის გაკვაჭვას ცდილობს. უმასპინძლებს თუ არა აზერბაიჯანის ნაკრები მოწინააღმდეგეებს „ტრაბზონსტადიონზე“, ხუთშაბათს გაირკვევა შეგახსენებთ, რომ 16 ნოემბერს ჩვენი ეროვნ[illegible]-რაელს უნდა შეხვდეს.

# ს[...]მრებით საქმე ვის უკეთებია...

გო[...] „დილას“ საქართველოში რეკორდი ექნება დამყარებული მწვ[...]ელთა ცვლაში. გუნდი წელს კვლავ ჩაიბარა ახალგაზრდა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა და აუტსაიდერის კვალობაზე „დილა“ კარგადაც ათამაშდა, რად ღირს მარტო ფრე თბილისის „დინამოსთან“ „დილა“ — „დინამოს“ რიგით მეთორმეტე მატჩში, რომელიც გორელებმა პირველად „გაუყაიმეს“ ჩემპიონს.

— მერაბ, გუნდს უკვე მესამედ უბრუნდებით. რა არის ამ ერთგულების მიზეზი?

— გორთან ფეხბურთის გარდა სხვაც ბევრი რამ მაკავშირებს, აქაურობა ძალიან ძვირფასია ჩემთვის.

— რა დაისახეთ მიზნად სეზონის წინ?

— პრობლემების ჩამოთვლით არ დაგღლით — ყველამ ყველაფერი იცის. ჩვენი მიზანი კი ესაა: „დილა“ ადგილობრივი ფეხბურთელებით უნდა დავაკომპლექტოთ, რადგან ცნობილია, მიწვეული ფეხბურთელი ადრე თუ გვიან უკან ბრუნდება.

— მიუხედავად ამისა, გუნდში მაინც თამაშობენ თბილისელები — გეგეჭკორი და მინდიაშვილი, რომლებიც ბალაშვილთან და ზურაბ ხორგუაშვილთან ერთად საუკეთესონი იყვნენ „დინამოსთან“ მატჩში.

— მართალი ბრძანდებით, თუმცა მინდიაშვილი კარგა ხანია გორში თამაშობს, გეგეჭკორი კი, როგორც ადრე კვლავაც თავად მოვიწვიე.

— „დილას“ სამომავლო მიზნებზე რას გვეტყოდით?

— შემდგომი ჩემპიონატიდან სამეულში მოხვედრისთვის ბრძოლა გვსურს. კლუბის პრეზიდენტად თენგიზ ბურჯანაძე მუშაობს და, იმედი მაქვს, მისი და სხვა გორელი ქომაგების შემწეობით „დილა“ ყველასთვის სახიფათო მეტოქე იქნება.

მამუკა კვარაცხელია

# ხაშურელი «ივანოვი»

**ვოვა ხაჩიძე ისეთივე სიმბოლოა ხაშურის „ივერიასი“, როგორიც ვალენტინ ივანოვი მოსკოვის „ტორპედოსი“. იგი ჯერ თავად თამაშობდა აქ, შემდეგ კი წვრთნიდა, თანაც, როდესაც გუნდს უჭირდა, სწორედ მაშინ უხმობდნენ ხოლმე. ისიც, ავად თუ კარგად, თავის საქმეს უძლვებოდა. ბევრს ალბათ ეგონა, „დინამო“ „ივერიას“ ძალიან დაჩაგრავსო, არადა, ხაშურელებსაც, სხვებივით, „დინამოს“ ზედმეტი რიდი რომ არ ჰქონოდათ, მრავალი კონტრშეტევიდან მარტო ერთ გოლს არ იკმარებდნენ.**

— სახელიანი მეტოქის კომპლექსისგან „განკურნება“ მწვრთნელის ვალია...

— გეთანხმებით, მაგრამ ბიჭებს ვერაფერმა უშველა. არადა, ეს ძალზე ცუდი ფაქტორია როგორც თვითონ „დინამოსთვის“, ასევე მისი ყველა მეტოქისთვის და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისაც.

— წელს რას ისახავდით მიზნად?

— უმაღლეს ჯგუფში დარჩენას...

— „დინამოსთან“ მატჩზე „ივერია“ ახალი ფორმით გამოვიდა. სარეკლამო მაისურზე — „კარლსბერგმა“ ისიც კი მაფიქრებინა, ხაშურელებმა მსოფლიოში ცნობილ დანიურ ფირმასთან ხომ არ დაიჭირეს საქმე-მეთქი...

— სამწუხაროდ, არა. ახალი ფორმა, ისევე, როგორც მთელი გუნდის შენახვა და კეთილდღეობა, კლუბის პრეზიდენტის თამაზ ბერიძის დამსახურებაა. მისი მეშვეობით გამოგვისწორდა მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ეს ფორმებიც მან შეიძინა თურქეთში.

— „ივერია“ არასოდეს ეკუთვნოდა ქართული ფეხბურთის მოწინავეთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატი თქვენც ბევრი გეჩვენებათ.

— ჩემი აზრით, თექვსმეტ ან თვრამეტგუნდიანი ჩემპიონატი ჩვენთვის ოპტიმალურია, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ქვეყანა ფეხზე წამოდგება. ამ ეტაპზე ათგუნდიანი ჩემპიონატი სჯობს ოთხ წრედ...



ხაშურის „ივერია“ ბოლო ტურში ერთობ გაუძალიანდა „დინამოს“

მამუკა კვანტალიანი

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

# რატომ «ოდესღაც»?!

## ბრაუნშვაიგის «აინტრახტს» [...] სურს. ქართველებიც [...]



ვახტანგ იაგორაშვილი

დაიბადა 1975 წლის 2 დეკემბერს. სპორტული გზა — მრეტები. პირველი მწვრთნელი — რომან მელიქიძე (ავაზა). საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში — 70 მატჩი (4 გოლი).



ალეკო გელაძე

დაიბადა 1972 წლის 19 ნოემბერს. სპორტული გზა — მერცხალი, არმაზი 90, შევარდენი, მრეტები. პირველი მწვრთნელი — ალექსანდრე ვაშაკიძე (დინამო). საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში 47 მატჩი (6 გოლი).

ბრაუნშვაიგის „აინტრახტი“ 1895 წლის 15 დეკემბერს დაარსდა. კლუბი ხან პირველ ბუნდესლიგაში თამაშობდა, ხან მეორეში. რამდენიმე წელია „აინტრახტი“ ჩრდილოეთის რეგიონულ ლიგაში გამოდის და კლუბის ქომაგები იმითღა იმშვიდებენ თავს, რომ მათი საყვარელი გუნდი 1967 წელს ბუნდესლიგის ჩემპიონი იყო, კლუბში ოდესღაც თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი პაულ ბრაიტნერი, ხოლო გუნდის მთავარი მწვრთნელი ცნობილი ბრანკო ზებეცი გახლდათ. მაგრამ „აინტრახტის“ ხელმძღვანელობამ ძველი დიდების დაბრუნება განიზრახა და საამისოდ ყველა ღონესაც ხმარობს. ამ საქმეში თავისი წვლილის შეტანა ორ ყოფილ მრეტსაც — ვახტან იაგორაშვილს და ალექსანდრე გელაძეს მოუწევს.

ლიგა „ნორდი“, რომელშიც ბრაუნშვაიგის „აინტრახტი“ გამოდის, ჩვენი მესამე ჯგუფის ფარდია. აქ 18 გუნდი თამაშობს, „აინტრახტი“ ჯერჯერობით ხუთეულშია. შარშან გუნდმა II ბუნდესლიგაში გადასასვლელი გადამწყვეტი შეხვედრა წააგო და „აინტრახტიც“ 9 ფეხბურთელმა დატოვა. წავიდა მთავარი მწვრთნელიც. გუნდის ხელმძღვანელობამ ახალი მწვრთნელი მოიწვია — შვედი იან ოლსონი, გუნდიც სულ ახალგაზრდა ფეხბურთელებით დააკომპლექტეს. „აინტრახტის“ „შტადტიშეშტადიონი“ 40 000 მაყურებელს იტევს.

ოლსონი კმაყოფილია ქართველ ფეხბურთელთა თამაშით და მათ კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს. წლეულს, 28 ივლისს ორივე ქართველმა ფეხბურთელმა „აინტრახტთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, 29 ივლისს კი პირველად გამოვიდნენ გუნდის შემადგენლობაში და პირველი გოლებიც გაიტანეს.

იაგორაშვილი: გერმანულ ლიგებში, ჩვენგან განსხვავებით, უდიდესი ყურადღება ექცევა ფიზიკურ მომზადებას, ამის გამოცაა, რომ თამაშები სანახაობრივად არც ისე მიმზიდველია, გუნდები იშვიათად იყენებენ ფლანგებს.

— „აინტრახტში“ ჩვენს გარდა სხვა უცხოელებიც არიან. ერთი მათგანი — ვიქტორ პასულკო ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ეხსომებათ. ვიქტორი თავიდანვე დიდი ყურადღებით და გულთბილად მოგვეპყრო, რითაც ხელი შეგვიწყო ადაპტირებაში. იგი კვლავაც ჩინებულ ფორმაშია და, რომ არა მისი დირიჟორული თვისებები, გუნდის შედეგები უარესი იქნებოდა. აქვეა ყოფილი მოსკოვის არმიელი სერგეი ფოკინიც, რომელიც ვიქტორისგან [...] გვეპყრობა.

ჩვენი მწვრთნელი იან ოლსონი ბავშვთა ფეხბურთიდან მოვიდა გუნდში და ტაქტიკის თვალსაზრისით არავითარი სიახლე არ მოუტანია. იგი მეტისმეტად ფრთხილია და შემადგენლობის დადგენისას გაბედული მოქმედება უჭირს.

ქართულ საფეხბურთო ტრადიციებზე აღზრდილს, მიჭირს ძალისმიერ ფეხბურთთან შეგუება და ათმაგი შრომა მიხდება გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად, თუმცა პირველივე შესაძლებლობისთანავე ვცდილობ ჩვენებურად ტექნიკურად ვითამაშო. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მეც და ალეკოსაც მძიმე ტვირთად გვაწევს: თუ გერმანელ მოთამაშეს მაყურებელი ბევრ შეცდომას აპატიებს, ჩვენ საშინელი რისხვა გვატყდება თავს. ამიტომ ძალების სრული მობილიზებით ვთამაშობთ. გუნდს ჰყავს თავისი ფან-კლუბი, რომელიც ერთგულად უდგას მხარში და მისი წევრები გასვლით თამაშზე დაჰყვებიან ბრაუნშვაიგელებს.

გული მწყდება, რომ საქართველოში არ არის ამგვარი, ფეხბურთის წინსვლისთვის აუცილებელი პირობები და მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ნაადრევად მიდის ფეხბურთიდან. მადლობა ღმერთს, ჩვენ ამ მხრივ გაგვიმართლა.

გელაძე: ვახტანგისა არ იყოს, პირველ რიგში გამოვყოფდი პასულკოს, რომელიც 33 წლისაც ჩინებულ ფორმაშია და ერთადერთია მთელს გუნდში, პასებით რომ გვამარაგებს. იგი უკვე ხუთი წელია გერმანიაშია და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. ჩვენს მოსვლამდე, 1992-93 წლებში „აინტრახტში“ იგორ ბელანოვიც თამაშობდა. გერმანიაში დაბალი ლიგის თამაშებს სისტემატურად ესწრებიან ბუნდესლიგის სელექციონერები, ამიტომ თავს არ ვიზოგავთ, რათა უკეთეს გუნდში გადასვლის შანსი მოგვეცეს.

...დასასრულს, ორივე ლეგიონერმა მთხოვა, გაზეთ „სარბიელის“ საშუალებით გერმანიიდან მოკითხვა და მადლობა გადამეცა მათი აღმზრდელებისთვის (ა. ვაშაკიძე, რ. მელიქიძე, ნ. აკობია, ბ. დუდაროვი, ნ. ამირეჯიბი, მ. ხურცილავა, ი. ლუცენკო, ექიმი გ. მაზავრაშვილი), განსაკუთრებით „მრეტების“ მწვრთნელისთვის, ვაჟა ჩხაიძისთვის. მთხოვეს გადმომეცა ისიც, რომ ორივეს საოცრად ენატრება თბილისი, საქართველო, ახლობელ-ნათესავები, მთელი „მრეტები“...

პაატა რამიშვილი

საგანგებოდ „სარბიელისთვის“, გერმანიიდან

### საქართველოს ჩემპიონატი

I ჯგუფი X ტური, 28 ოქტომბერი

### დურუჯი 2:1 საპოვნელა

დურუჯი: ალავიძე, გეგეშიძე, ყანჩაშვილი, ელოშვილი, ჭაჭუა (ბოჭორიშვილი), ლობჟანიძე, თოლორდავა, კაწკია, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლეინიაშვილი

საპოვნელა: თევზაძე, კუხიანიძე, გენაძე, ჯულელი, ხვარეშია, უკლება, ჩინჩალაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, აბელედიანი, ხურცილავა

1:0 თოლორდავა (3 პ), 2:0 თოლორდავა (38 პ), 2:1 უკლება (85)

გაფრთხილება: ლობჟანიძე

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

### სამტრედია 4:0 გურია

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია (ჯიკაევი 78), ამაშუკელი (დ. ჯანაშია 46), გოგიჩაიშვილი, გოგიტაძე, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, თევზაძე, ლორია, ბუცურეიშვილი, ხართიშვილი, ნარიაშვილი (ყულეჯიშვილი 52), განიევი, გოგოლაძე, გამცემლიძე, კანტიძე

1:0 იონანიძე (20), 2:0 იონანიძე (34), 3:0 ჯიშკარიანი (64), 4:0 დ. ჯანაშია (78)

გაფრთხილება: ნარიაშვილი, ცომაია, გამცემლიძე

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

### დინამო 3:1 ივერია

დინამო: [...]იძე, დიდავა, ნემსაძე, შელია, [...] ინალიშვილი, ყაველაშვილი (კიკნაძე 65), ა. არველაძე, რევიშვილი, რ. არველაძე (ლობჟანიძე 36), ქინქლაძე, შ. არველაძე

ივერია: ტო[...]იძე, ნეკერაშვილი, სამხარაძე, [...]აძე (შაიშმელაშვილი 77), გაგუა, ტყემალაძე, ლურსმანაშვილი (ნარმანია 83), ჩადუნელი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, წიკლაური

[...]გუა (5), 1:1 ა. არველაძე (17), 2:1 ინალიშვილი (24), 3:1 შ. არველაძე (90)

გაფრთხილება: შ. არველაძე

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### კახეთი 0:0 მეტალურგი

კახეთი: გვარამაძე, შალამბერიძე, კაციტაძე, სანადირაძე, სოლოლაშვილი, ჭკვიტიძე, შონია (ლუდუშაური 30), კანდელაკი, კალუჟა, მაისურაძე (ხორხელი 70), სეფაშვილი

მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ტარტარაშვილი, კვარაცხელია (პერტია 75), გახოკიძე, ყაველაშვილი, გაფრინდაშვილი (ჩალაძე 58), ალადაშვილი

გაფრთხილება: კაციტაძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### სამგურალი 1:1 ზუგდიდი

სამგურალი: ა. ჯანელიძე, მუშკუდიანი, ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე, თოდაძე (ჩიხლაძე 46), გუბელაძე, იობიძე, ლ. ფესტვენიძე, ვ. ჯანელიძე, ხარაბაძე

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, დ. კაკუბავა, კვარაცხელია, გაბედავა, დარასელია, გაბისონია, გუგუჩია (კუტალია 79)

1:0 ხარაბაძე (22), 1:1 გაბედავა (45)

გაფრთხილება: ახვლედიანი, გ. ჯანელიძე

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### ბათუმი 1:0 შევარდენი

ბათუმი: ბალაძე, ფუტკარაძე, შანიძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ღლონტი (მუჯირი 22), ტულუში, ამბიძე (უჯმაჯურიძე 12)

შევარდენი 1906: სიდამონიძე, ლ. ბერიშვილი, დიმიტრიშვილი, შელქაძე, ხვადაგიანი, ნადირაძე, მაქაცარია, ჭოლოკავა, ცაავა (მესტუმრე 46), ფრიდონაშვილი, შუბითიძე

1:0 მუჯირი (81)

გაფრთხილება: ჭოლოკავა

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

### ტორპედო 2:0 მარგვეთი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, ნოზაძე (ვაჩიბერაძე 46), სუხიაშვილი (თურმანიძე 60), ხუნდაძე, მეგრელაძე, მალაკელიძე, გიორგობიანი

მარგვეთი: მახათაძე, ქადაგიძე, უვანია, ლანჩავა, მალაკელიძე, გაბრიჭიძე, კაციაშვილი, ტონია (ფოცხვერაშვილი), ენდელაძე, სულაკაძე (მინაშვილი), მაჭავარიანი

1:0 მალაკელიძე (85), 2:0 ვაჩიბერაძე (89)

გაფრთხილება: გაბრიჭიძე

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### კოლხეთი 2:0 დილა

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, გოროზია, დანელია, გიგატაძე, მაჭავარიანი, კიკლიაშვილი (ლალანიძე 75), მახარაძე, ჯულელი, დარასელია, ტორჩინავა (ინიაშვილი 80)

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი (ტაბატაძე 57), მარეხაშვილი, გეგეჭკორი, (რევაზიშვილი 42), ფეზუაშვილი, ზურ. ხორგუაშვილი, წკრიალაშვილი

1:0 დარასელია (60), 2:0 ჯულელი (70)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 10 | 8 | 1 | 1 | 29-9 | 25 |
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 45-12 | 23 |
| ბათუმი | 10 | 7 | 0 | 3 | 26-13 | 21 |
| კოლხეთი | 10 | 7 | 0 | 3 | 21-9 | 21 |
| ტორპედო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-12 | 19 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 11-5 | 15 |
| გურია | 10 | 4 | 2 | 4 | 18-24 | 14 |
| დურუჯი | 10 | 4 | 0 | 6 | 13-30 | 12 |
| ზუგდიდი | 10 | 3 | 3 | 4 | 19-16 | 12 |
| დილა | 10 | 3 | 3 | 4 | 5-9 | 12 |
| შევარდენი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-15 | 11 |
| ივერია | 10 | 3 | 2 | 5 | 13-15 | 11 |
| კახეთი | 10 | 2 | 4 | 4 | 6-15 | 10 |
| მარგვეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 5-26 | 8 |
| საპოვნელა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-24 | 5 |
| სამგურალი | 9 | 0 | 3 | 6 | 8-23 | 3 |

## ფეხბურთი

# იტალია

VIII ტური. 30 ოქტომბერი. ბარი — ჯენოა 4:1, ბრეშია — ფიორენტინა 2:4, კალიარი — ტორინო 1:0, ინტერი — რეჯანა 1:0, იუვენტუსი—მილანი 1:0, ლაციო — კრემონეზე 1:0, პადოვა — ფოჯა 0:0, სამპდორია — ნაპოლი 0:0, პარმა—რომა 1:0

პირველ ტაიმს მხაჯმა ცოტა წაამატა და რობერტო ბაჯომ სწორედ მაშინ, თაურით ერთადერთი გოლი გაიტანა, „მილანი“ კი მე-11 ადგილზე აღმოჩნდა. „სკუდეტოსკენ“ მორიგი სამქულიანი ნაბიჯი გადადგა „პარმამ“, თუმცა კი გაუჭირდა შინ „რომას“ ძლევა, მაგრამ 88-ე წუთზე ჯანფრანკო ძოლამ იმარჯვა და რომაელთა მთელი ნალვაწი წყალში გადაყარა. ასევე ბოლო წუთებში მოიგო „ინტერმა“: დევეკიომ საფინალო სასტვენამდე 20 წამით ადრე შეძლო გადამწყვეტი დარტყმის გაკეთება. ასეთივე ანგარიშით მოიგო „კალიარიმაც“, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით საქმის გაკეთება თამაშის დასაწყისშივე არჩია და მე-7 წუთზე პანამელი დელი ვალდესის მიერ გატანილი გოლი უშფოთველად შეინარჩუნა. ტურში კიდევ 1:0 დაფიქსირდა: „ლაციომ“ კაზირაგის 77-ე წუთზე გატანილი თაურით „კრემონეზე“ დაამარცხა. 1:2 — ასე დამთავრდა მატჩი პადოვაში, თუმცა ეს გაძევებათა ანგარიშია, ისე შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, არადა „პადოვამ“ პენალტი ვერ გაიტანა. ასევე უგოლო გამოდგა მატჩი გენუაში, სადაც ვუიადინ ბოშკოვმა თავის ახალი კლუბი „ნაპოლი“ გამოიყვანა ყოფილ შეგირდებთან. მართალია, მასპინძლებს ტრავმამოშუშებული პლატი დაემატათ და საერთოდ დიდი უპირატესობაც ჰქონდათ, საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. ოთხ-ოთხი გოლი გაუტანეს მეტოქეებს „ბარიმ“ და „ფიორენტინამ“. „ჯენოამ“ ამას მხოლოდ შემცვლელად შესული ჰოლანდიელი ვან ტ სხიპის გოლით უპასუხა, „ბრეშიამ“ კი ორის გატანა შეძლო. თავისი გოლი კვლავ შეაგდო „ფიორენტინას“ კაპიტანმა არგენტინელმა ბატისტუტამ.

სერია „B“-ში დიდი უპირატესობით ლიდერობს „პიაჩენცა“, ვისაც 19 ქულა აქვს. ბოლო ადგილს არავის უთმობს სერია „A“-დან შარშან გავარდნილი „ლეჩე“, რომელმაც მხოლოდ 5 ქულის დაგროვება შეძლო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 8 | 6 | 1 | 1 | 15-7 | 19 |
| ლაციო | 8 | 5 | 2 | 1 | 16-7 | 17 |
| იუვენტუსი | 8 | 5 | 2 | 1 | 9-4 | 17 |
| რომა | 8 | 4 | 3 | 1 | 13-6 | 15 |
| ფიორენტინა | 8 | 4 | 3 | 1 | 17-11 | 15 |
| ფოჯა | 8 | 3 | 4 | 1 | 10-6 | 13 |
| ბარი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-8 | 13 |
| სამპდორია | 8 | 3 | 3 | 2 | 11-4 | 12 |
| ინტერი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-4 | 12 |
| კალიარი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-6 | 12 |
| მილანი | 8 | 3 | 2 | 3 | 5-6 | 11 |
| ტორინო | 8 | 3 | 1 | 4 | 8-10 | 10 |
| ნაპოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-15 | 9 |
| ჯენოა | 8 | 2 | 2 | 4 | 11-16 | 8 |
| კრემონეზე | 8 | 2 | 0 | 6 | 6-12 | 6 |
| პადოვა | 8 | 1 | 2 | 5 | 6-19 | 5 |
| ბრეშია | 8 | 0 | 2 | 6 | 5-15 | 2 |
| რეჯანა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-15 | 1 |

# ესპანეთი

IX ტური. 29-30 ოქტომბერი. ვალენსია — სელტა 1:0, სარაგოსა — რეალი 3:2, ტენერიფე — ლა კორუნია 1:1, სოსიედადი — ბარსელონა 1:1, რასინგი — ატლეტიკი 0:2, ატლეტიკო — ბეტისი 0:2, კომპოსტელა — ლოგრონიესი 2:0, ესპანიოლი — ალბასეტე 5:1, ოვიედო — ვალიადოლიდი 1:0, სევილია — სპორტინგი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 9 | 6 | 2 | 1 | 19-12 | 14 |
| ლა კორუნია | 9 | 5 | 4 | 0 | 16-9 | 14 |
| რეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 19-9 | 12 |
| ბარსელონა | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 12 |
| ატლეტიკი | 9 | 5 | 2 | 2 | 9-8 | 12 |
| ბეტისი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-5 | 11 |
| ესპანიოლი | 9 | 3 | 4 | 2 | 17-10 | 10 |
| ტენერიფე | 9 | 3 | 4 | 2 | 10-7 | 10 |
| ვალენსია | 9 | 5 | 0 | 4 | 12-11 | 10 |
| სევილია | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| კომპოსტელა | 9 | 3 | 3 | 3 | 9-12 | 9 |
| სპორტინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-18 | 9 |
| სელტა | 9 | 2 | 4 | 3 | 6-10 | 8 |
| სოსიედადი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-12 | 7 |
| ოვიედო | 9 | 3 | 1 | 5 | 10-14 | 7 |
| ალბასეტე | 9 | 2 | 3 | 4 | 12-17 | 7 |
| ვალიადოლიდი | 9 | 2 | 3 | 4 | 5-13 | 7 |
| ატლეტიკო | 9 | 2 | 1 | 6 | 14-15 | 5 |
| რასინგი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-13 | 4 |
| ლოგრონიესი | 9 | 0 | 3 | 6 | 3-14 | 3 |

# გერმანია

XI ტური. 28-30 ოქტომბერი. კარლსრუე — ურდინგენი 2:1, ბოხუმი — კაიზერსლაუტერნი 0:2, დინამო — დორტმუნდი 0:1, ბაიერნი — შტუტგარტი 2:2, მიონხენგლადბახი — მიუნხენ 1860 2:0, ფრაიბურგი — კიოლნი 4:2, ვერდერი — აინტრახტი 2:0, ლევერკუზენი — შალკე 2:2, დუისბურგი — ჰამბურგი 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 11 | 8 | 2 | 1 | 27-10 | 18 |
| ვერდერი | 11 | 7 | 3 | 1 | 22-12 | 17 |
| ჰამბურგი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-12 | 14 |
| გლადბახი | 11 | 5 | 4 | 2 | 21-13 | 14 |
| კაიზერსლაუტ. | 11 | 5 | 4 | 2 | 19-13 | 14 |
| ფრაიბურგი | 11 | 6 | 2 | 3 | 23-18 | 14 |
| ლევერკუზენი | 11 | 4 | 5 | 2 | 23-15 | 13 |
| ბაიერნი | 11 | 4 | 5 | 2 | 22-17 | 13 |
| შტუტგარტი | 11 | 5 | 3 | 3 | 23-19 | 13 |
| კარლსრუე | 11 | 5 | 3 | 3 | 21-19 | 13 |
| შალკე | 11 | 2 | 6 | 3 | 14-15 | 10 |
| აინტრახტი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-18 | 10 |
| დინამო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-17 | 8 |
| კიოლნი | 11 | 2 | 4 | 5 | 18-26 | 8 |
| ურდინგენი | 11 | 1 | 5 | 5 | 10-16 | 7 |
| ტსვ მიუნხენი | 11 | 1 | 3 | 7 | 11-21 | 5 |
| ბოხუმი | 11 | 2 | 1 | 8 | 11-28 | 5 |
| დუისბურგი | 11 | 0 | 2 | 9 | 7-27 | 2 |


# კლუბი «მესეფი»

სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია

# ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| | **უეფას თასი** | | | |
| 1 ნოემბერი | იუვენტუსი — მარიტიმუ | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | კანი — ადმირა ვაკერი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | ოდენსე — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,3 | 2,2 |
| | აინტრახტი — რაპიდი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | ატლეტიკი — ნიუკასლი | 2,0 | 2,4 | 2,6 |
| | ტექსტილშჩიკი — ნანტი | 2,0 | 2,4 | 2,6 |
| | ნაპოლი — ბოავიშტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ლაციო — ტრელებორგი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ბორუსია — სლოვანი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | რეალი — დინამო | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | პარმა — აიკი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ასტონ ვილა — ტრაბზონსფორი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | ლა კორუნია — ტიროლი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | მარსელი — სიონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | ბორდო — გკს | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ლევერკუზენი — პონვედი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | **ჩემპიონთა ლიგა** | | | |
| 2 ნოემბერი | გალათასარაი — გიოტებორგი | 1,7 | 2,5 | 3,0 |
| | ბარსელონა — მანჩესტერ იუნ. | 1,5 | 2,5 | 4,4 |
| | ბაიერნი — სპარტაკი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | პარი სენ-ჟერმენი — დინამო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | სტიაუა — ბენფიკა | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| | ანდერლეხტი — ჰაიდუკი | 1,4 | 2,5 | 5,3 |
| | მილანი — აეკ | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | აიაქსი — კაზინო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | **თასების თასი** | | | |
| 3 ნოემბერი | პანათინაიკოსი — ბრიუგე | 1,3 | 2,5 | 6,5 |
| | ვერდერი — ფეიენოორდი | 1,3 | 2,5 | 6,5 |
| | აუსტრია — ჩელსი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| | არსენალი — ბრონდბიუ | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | სარაგოსა — ტატრანი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | გრასჰოპერსი — სამპდორია | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| | ფერენცვაროში — პორტუ | 2,3 | 2,5 | 2,2 |
| | ოსერი — ბეშიქთაში | 1,2 | 3,0 | 6,5 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს 13-დან 16 საათამდე


## სროლა

# ამდენ სროლაში ჩუბინები განზე დაგვირჩნენ...

**ბოლო ხანების საფეხბურთო ეიფორიამ ცოტა არ იყოს დაჩრდილა სპორტის სხვა სახეობები. ეს ნაწილობრივ ჩვენი, ჟურნალისტების ბრალიცაა. სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვეწვიეთ სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციას. რა თქმა უნდა, ბევრი გულსაკლავი ამბავიც შევიტყვეთ: ჩვენი პრეზიდენტი თენგიზ კიტოვანი დაკავებული კაცია და სროლისა და მშვილდისთვის ვეღარ იცლის, ჩვენც, სხვებივით, შავ დღეში ვართ, ეს სახეობები, რომ იტყვიან, სულს ღაფავენო და ა.შ. დაწვრილებით ამაზე ჩვენი ჩუბინების წლევანდელ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა ფედერაციის გენერალური მდივანი გივი ბოსტოღანაშვილი.**

— ჩვენი გაჭირვების მიზეზს რა ახსნა უნდა — უსახსრობა და სიდუხჭირე. აღარ გვაქვს savარჯიშო ბაზები — ვარკეთილისა რომელიღაც შეიარაღებულმა ფორმირებამ დაგვინგრია, ოზურგეთშიც ასეთივე მდომარეობაა. მოგვიძველდა იარაღი, ვაზნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თითქმის სულ გავხარჯეთ „ხელშეუხებელი მარაგიც“ კი. არადა, ასეთ ვითარებაშიც კი ჩვენი მსროლელები არცთუ უხეიროდ გამოიყურებიან. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატზე და ტესტებში ჩვენმა გოგონებმა იტალიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ადგილების ფარდი შედეგები აჩვენეს, მაგრამ მილანში გამგზავრება ვერ მოვახერხეთ, რა თქმა უნდა, ხელმოკლეობის გამო.

მსოფლიო ჩემპიონატამდე ლისაბონში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი. იქ ჩვენი მესტენდურების, თამაზ იმნაიშვილის, გიგი შენგელიასა და დავით ქვათაძის მივლინება მოვახერხეთ და 23 გუნდს შორის საქართველომ IV ადგილი დაიკავა. ეს წარმატება ჩვენების კვიპროსზე ხუთდღიანმა ვარჯიშმა განაპირობა. მსოფლიო ჩემპიონატამდე საწვრთნელი შეკრების ჩატარებას კვლავ კვიპროსზე ვაპირებდით, მაგრამ ფული ვეღარ ვიშოვეთ და იტალიაში მხოლოდ თამაზ იმნაიშვილი გაემგზავრა, ისიც თავისი სახსრებით. მას გზად კვიპროსზე უნდა შეევლო თანაგუნდელების თოფების ასაღებად, გივის და დათის კვიპროსის საბაჟოში რომ დაატოვებინეს. იქაური საბაჟოს წესებით, თუ იარაღს ორი თვის მანძილზე არ მოიკითხავ, ჩამოგერთმევა და სახელმწიფოს გადაეცემა. იტალიიდან შინ დაბრუნება თურქეთის გამოვლით სურდა, მაგრამ ბოლო წუთს გაირკვა, რომ იტალიიდან თურქეთში იარაღის შეტანას მთავრობის სპეციალური დადგენილება სჭირდებოდა, ამიტომ თამაზს შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე ბილეთების გადასაცვლელად სირბილმა მოუწია და ეს მის შედეგსაც დაეტყო — ფინალში გასასვლელად, რაც ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიასაც იძლეოდა, ერთი ქულა დააკლდა და მეცამეტე ადგილს დასჯერდა.

სტრასბურგში, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გოგონები VI გუნდურ ადგილზე გავიდნენ, ნინო სალუქვაძემ კი პირად ჩათვლაში 481,2 ქულით V ადგილი დაიკავა, თუმცა მისთვის შეუფერებელ ამ შედეგს საპატიო და ბედნიერი მიზეზი ჰქონდა — სექტემბერში შვილი შეეძინა.

იარაღის მწარმოებნი დიდ ყურადღებას იჩენენ საქართველოს ნაკრების მიმართ. საფრანგეთში ჩვენი ყოფნისას ასეთი საგულისხმო ფაქტის მომსწრენი გავხდით: ნინო სალუქვაძე მსოფლიოში საუკეთესო პისტოლეტით, ავსტრიული „მანლიხით“ ასპარეზობს, სწორედ ამ ფირმის წარმომადგენლები მოვიდნენ ჩვენთან და შემოგვთავაზეს, თქვენმა კიდევ ორმა მსროლელმა ჩვენი ფირმის იარაღით ასპარეზოსო. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ დავთანხმებულიყავით, თუმცა ვშიშობდით, რომ კარგი, მაგრამ ახალი იარაღით სროლა გოგონებს გაუძნელდებოდათ, ვინაიდან იარაღის მიჩვევას საკმაო დრო სჭირდება. ჩვენი შიში გამართლდა და გუნდური IV-ის მაგივრად VI ადგილზე გავედით. თუმცა „მანლიხმა“ [illegible] ბრივ გაგვიმართლა, [illegible] მიტანილი პისტოლეტები [illegible] და 1600 [illegible] ორი იარაღი საჩუქრად გადმოგვცა. იტალიური ფირმა „პარდინიც“ გვთხოვდა, თქვენ ოღონდ იტალიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოდით და რამდენიმე პისტოლეტს გაჩუქებთო. ეს ჩვენი ნაკრების სრულ აღჭურვაში დაგვეხმარებოდა, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, იტალიაში გამგზავრება ვერ მოვახერხეთ.

— მშვილდოსნების ამბავიც გვითხარით...

— დროისა და ვითარების კვალობაზე მათაც ისახელეს თავი — ჩეხეთის ქალაქ ნიმბურკში 23 გუნდის მონაწილეობით და ახალი, ოლიმპიური სისტემით გამართულ ევროპის ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავეს. ჩვენმა გუნდმა, სადაც თბილისელ ხათუნა ქვრივიშვილთან და ხათუნა ნარიმანიძესთან ერთად ნიჭიერი ახალგაზრდა ბათუმელი მშვილდოსანი ასმათ დიასამიძეც ასპარეზობდა და რომელსაც ოლიმპიადაზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს, ჯერ იტალიის ძლიერი გუნდი გამოთიშა, შემდეგ კი ფავორიტად მიჩნეულ უკრაინასაც სძლია. ევროპის დიდი პრიზის გათამაშებაშიც, რომელიც პეტერბურგში გაიმართა, IV ადგილი დავიკავეთ. მესამეზე გასულ საფრანგეთს ქულით ჩამოვრჩით.

— მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?

— ძალიან ბევრი მიწვევა მოგვდის, მაგრამ უსახსრობის გამო იმასღა ვცდილობთ, უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებს მაინც არ გამოვაკლდეთ. გაისად, თებერვლის ბოლოს, ჰელსინკში ტარდება ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტით სროლაში, იქ ქალთა გუნდის გაგზავნა გვაქვს გადაწყვეტილი. ნინო სალუქვაძე აუცილებლად იასპარეზებს მსოფლიო თასის ეტაპებზე, რომლებიც თებერვალში იწყება და აგვისტოში მიუნხენში დასრულდება. მესტენდური ვაჟები ივნისში სტამბოლში ევროპის დიდ პრიზს გაითამაშებენ. მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი, მართალია, ძალიან შორსაა, ინდონეზიაში, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებთ, გოგონები რომ გავამგზავროთ.

ერეკლე კიკილაშვილი

## კალათბურთი

# ახალი საკალათბურთო ევროპა

1996-97 წლების სეზონიდან, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ევროპის 24 კლუბი ჩაებმება ევროპის საკალათბურთო ლიგის (EBL) გათამაშებაში. ეს ლიგა იქნება დღევანდელი ჩემპიონთა თასის სანაცვლო ასპარეზობა. მასში გაერთიანდებიან იმ ქვეყნების კლუბები, რომლებიც აღნიშნული სეზონის წინ ფიბა-ს რეიტინგში 1-4 ადგილებს დაიკავებენ. პარალელურად გაიმართება ევროპის თასის (დღევანდელი თასების თასი) და კორაჩის თასის გათამაშება.

1996-97 წლების სეზონიდან ევროთასებზე ადგილები ასე განაწილდება:

| ადგილი რეიტინგში | EBL | ევროპის თასი | კორაჩის თასი |
|---|---|---|---|
| 1-4 | 3 | 2 | 4 |
| 5-8 | 2 | 2 | 4 |
| 9-12 | 1 | 2 | 4 |
| 13-16 | - | 2 | 4 |
| 17-20 | - | 1 | 4 |
| 21-24 | - | 1 | 3 |
| 25-28 | - | 1 | 2 |
| 29-32 | - | 1 | 1 |
| 33-48 | - | - | 1 |

გთავაზობთ ფიბა-ს სადღეისო, ანუ წლევანდელი ევროთასების ორი ეტაპის შემდგომ რეიტინგს. ფრჩხილებში მოცემულია ქვეყნის ადგილი წინა სეზონში, ბოლო სვეტში კი — შარშანდელი რეიტინგი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1(2) | ესპანეთი | 430,000 | 340,000 |
| 2(1) | საბერძნეთი | 428,125 | 352,000 |
| 3(3) | იტალია | 268,000 | 203,000 |
| 4(4) | საფრანგეთი | 147,714 | 103,714 |
| 5(5) | თურქეთი | 113,000 | 73,000 |
| 6(7) | ხორვატია | 112,000 | 70,000 |
| 7(6) | სლოვენია | 93,167 | 72,500 |
| 8(8) | ისრაელი | 91,000 | 48,000 |
| 9(9) | გერმანია | 73,333 | 45,000 |
| 10(10) | ბელგია | 50,000 | 37,000 |
| 11(13-14) | რუსეთი | 47,000 | 10,000 |
| 12(12) | პორტუგალია | 46,833 | 21,000 |
| 13(11) | მაკედონია | 27,833 | 22,000 |
| 14(15-16) | უკრაინა | 24,167 | 9,167 |
| 15(18) | უნგრეთი | 21,500 | 7,500 |
| 16(15-16) | ჩეხეთი | 20,167 | 9,167 |
| 17(13-14) | სლოვაკეთი | 18,333 | 10,000 |
| 18(27-29) | ლიტვა | 15,000 | 2,000 |
| 19(23) | პოლონეთი | 12,333 | 4,000 |
| 20(17) | შვეიცარია | 12,000 | 9,000 |
| 21(19) | ავსტრია | 10,667 | 6,000 |
| 22(21) | კვიპროსი | 8,333 | 5,333 |
| 23-25(20) | ბულგარეთი | 6,667 | 5,666 |
| 23-25(27-29) | რუმინეთი | 6,667 | 2,000 |
| 23-25(31) | შვედეთი | 6,667 | 0,667 |
| 26(22) | ინგლისი | 6,167 | 4,167 |
| 27(27-29) | ლატვია | 5,500 | 2,000 |
| 28(26) | ჰოლანდია | 4,833 | 2,333 |
| 29(24-25) | ლუქსემბურგი | 4,500 | 2,500 |
| 30(30) | ფინეთი | 3,667 | 1,667 |
| 31(-) | საქართველო | 3,333 | - |
| 32(24-25) | ისლანდია | 2,667 | 2,500 |
| 33(32-33) | ალბანეთი | 2,333 | 0,333 |
| 34(-) | ბოსნია | 2,000 | - |
| 35(36-37) | ესტონეთი | 1,667 | 0,000 |
| 36-37(34-35) | მოლდოვა | 0,333 | 0,167 |
| 36-37(32-33) | ირლანდია | 0,333 | 0,333 |
| 38-39(-) | დანია | 0,167 | - |
| 38-39(34-35) | უელსი | 0,167 | 0,167 |
| 40(36-37) | ბელარუსი | 0,000 | 0,000 |

ფიბა-ს წევრები ანდორა, სომხეთი, მალტა, მონაკო, გიბრალტარი, ნორვეგია, სან-მარინო და შოტლანდია ევროთასების არც წლევანდელ და არც შარშანდელ გათამაშებაში არ მონაწილეობდნენ, ამიტომ რეიტინგი არა აქვთ.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველო 1996 წელს ევროპის საკალათბურთო ლიგაში ვერავის გაიყვანს, ხოლო ევროპის თასზე და კორაჩის თასზე თითო გუნდს ათამაშებს. წლეულს ჩვენი 4 გუნდის მონაწილეობამ, ოთხივეს პირველსავე წრეში დამარცხების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის რეიტინგი 3,333 გახადა. ეს ციფრი მინიმუმ ორჯერ მეტი იქნებოდა (მაშინ 23-26 ადგილზე ვიქნებოდით), შარშან საქართველოს კალათბურთის ფედერაციას მეტი შნო რომ გამოეჩინა, დროზე გაერკვია ყურით მოთრეული მიზეზები და ქართული კლუბები ევროთასების მიღმა არ დარჩენილიყვნენ. 1996 წლამდე კიდევ ერთი სეზონია. თუკი რეიტინგის ამაღლება და, აქედან გამომდინარე, ქართული კალათბურთის ევროპაში გაყვანა გვსურს, გაისად ევროთასებში რაც შეიძლება მეტი ქართულმა კლუბმა უნდა იასპარეზოს, უფრო ზუსტად, რამდენ ადგილსაც ფიბა გამოგვიყოფს. თორემ, 1996 წლიდან ევროთასებზე ადგილის დამკვიდრება მეტისმეტად გაჭირდება.

მერაბ რატიშვილი


ERC

ვისაც გსურთ სამ თვეში ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ებრაული, და რუსული სალაპარაკო ენისა და წერა-კითხვის შესწავლა, მიმართეთ შ.პ.ს. „ელიტა-სკ“ უცხო ენების სწრაფი შესწავლის კურსებს მისამართზე:

ვაჟა-ფშაველას გამზირი 44, მეორე სართული, № 12 (მეტრო „დელისთან“). ტელ: 39-87-25

ჯგუფში 5 სტუდენტია. მეცადინეობა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, ხანგრძლივობა 1სთ. 45 წთ. ჯგუფს მეცადინეობა შეიძლება ჩაუტარდეს მსმენელთათვის სასურველ დროს და ადგილას.

თუ წინასწარ გადაიხდით 60 დოლარის ექვივალენტურ თანხას, სამ თვეში უცხო ენას შეგასწავლით!

მაშ, დროს ნუ დაკარგავთ, ახლავე დაგვირეკეთ!



„გუმარი“ ლანგედოკელების ძლევისა და გალაშის შემდეგ

# ვაჟკაცი ქართველები და ლაჩარი ფრანგები

სტუმარი მორაგბეები, მეტადრე კი ავსტრალიელები, ფრანგ მასპინძლებს ხშირად საყვედურობენ, თამაშის მოსაგებად ყველაფერს კადრულობთო. ამ მოსაზრების სისწორეში თავად დარწმუნდებოდნენ „გუმარის“ მორაგბეები, რომლებიც მიზეზთა გამო საფრანგეთს გადახვეწილი ქართველი კაცის — ზაზა ქასაშვილის მიწვევით ქართული რაგბის ისტორიაში პირველნი სტუმრობდნენ უპირველეს სარაგბო პროვინცია ლანგედოკში.

საფრანგეთში ჩვენმა ბიჭებმა ხუთი დღის განმავლობაში ოთხი თამაში გამართეს და ოთხივე მოიგეს. 8 ოქტომბერს 34:15 მოუგეს კრეზ-კასტელნოს კლუბს, 10 ოქტომბერს დაამარცხეს ალეზის სამთამადნო სკოლა 41:0, 11 ოქტომბერს მეორე შემადგენლობით 7:0 აჯობეს კლუბ „პალავაზის“ მეორე შემადგენლობას, 12 ოქტომბერს კი აგდში 23:12 სძლიეს ლანგედოკის ნაკრებს, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ჯგუფში მოასპარეზე ლანგედოკის კლუბების საუკეთესო მოთამაშეებისგან შეედგინათ.

შარშანდლამდე საფრანგეთში პროვინციათა პირველობა არ იმართებოდა. ამ გაზაფხულზე პირველი ჩემპიონატი ლანგედოკს მოუგია, რასაც ხმელთაშუაზღვისპირელები ერთობ გაუყოყოჩებია. ისინი თურმე დაახლოებით ასე მსჯელობენ: რადგანაც ლანგედოკელები ვართ, ყველას უნდა მოვუგოთ — გინდ ოკლენდს, გინდ ქვინზლენდსა თუ გინდ ტრანსვაალსო. ამიტომ რა გასაკვირია, თუ რაღაც „ჟორჟი“-დან ჩასულ გუნდს მთელი ტურნეს განმავლობაში ალმაცერად უყურებდნენ.

კაცა ზაზაევიჩისა არ იყოს, ჩვენებიც მოუკლავს ამდენ შეხვედრებსა და ბანკეტებს. „გუმარის“ დელეგაციას მოცლა არ ჰქონია — ყოველდღე მერიებსა თუ კლუბებში დაარბენინებდნენ და დიდ გვამებს წარუდგენდნენ ხოლმე. იქაური ქართველობა ყოველ ღონეს ხმარობდა, სტუმრები მომგებიანად რომ წარმოეჩინა მასპინძელთა თვალში. დროს არც ფრანგები კარგავდნენ უქმად: ჩვენებს ღვენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ, აქამდე თუ რამ მოგიგიათ, დაივიწყეთ; ჩვენთან ასე 30-50 ქულით წააგებთო. მიუხედავად ამისა, ორპირი ფრანგები თან ქართველ ვარსკვლავებს ეარშიყებოდნენ, აქაური პირველი დივიზიონის კლუბებში ხომ არ დარჩებითო — ოღონდაც, რაღა თქმა უნდა, ჩალის ფასად!

ჩვენი ბიჭები ამგვარმა ზეწოლამ, ცოტა არ იყოს, თურმე დათრგუნა. მათ ვერაფრით გაეგოთ, თუ რის იმედად ექადნებოდათ 0:41 წამგები გუნდი, პროვინციის ნაკრები დაგანგრევთო. საქმე კი, ეტყობა, პირიქით იყო: ფრანგები კი ბაქი-ბუქობდნენ, მაგრამ ერთობ ეშინოდათ უცნობი სტუმრებისა; დანიშნული თამაშებიც არ იკმარეს და ერთ მშვენიერ დღეს „გუმარს“ „პალავაზი“ ზედ ვარჯიშზე მიუხდა, ერთად ხომ არ წაგვემეცადინაო. მერე და მერე მასპინძლებმა მიამიტ ქართველებს შესთავაზეს, მოდით ორი 25-წუთიანი ტაიმი წავითამაშოთ, ოღონდ ხვალინდელი დიდი მატჩისთვის რომ არ დაშავდეთ, შერკინებისას ვეტერანულ ყაიდაზე ერთურთს ნუ მივაწვებითო.

გამოუცდელი ქართველები მოტყუვდნენ. მასპინძლებმა ჩვენებს ომი გაუმართეს და „ცუნცულად“ ცნობილი 35 წლის შერკინების ნაზევარმცველი მალხაზ ჭეიშვილი ისე დაუმტვრიეს, რომ ბოლო თამაში ამან დამცავი კორსეტით ითამაშა.

პროვინციის ნაკრებთან შეჯიბრს მთე- [illegible] ბობოლა კლუბების — „ბეზიეს“, „მონპელიეს“, „ნარბონის“, „პერპინიანის“ ბობოლა მწვრთნელები. ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, ფრანგულ პროვინციულ რაგბშიც თურმე დიდი ინტრიგა ტრიალებს. საქართველოს დაბრუნებული გუმარელები ვჭვრობენ, რომ მათი საფრანგეთს მიწვევა ლანგედოკური ოპოზიციის მორიგი ხრიკი იყო. აკი გადამწყვეტი გამარჯვების შემდეგ ჩვენების ერთ-ერთმა იქაურმა მასპინძელმა რაგბის მოღვაწემ ხელისუფლების წარმომადგენლებს იქედნურად ჩაუარა და სიტყვა გადაუკრა, ღედა ხომ გიტირეთო. მასპინძელთა მმართველი კასტაც ნირწამხდარი ჩანდა, სახელმოხვეჭილი „ბეზიეს“ მწვრთნელს კი, გადმოცემის თანახმად, უთქვამს, „ლანგედოკელებს კიდევ ერთხელ გვასწავლეს ჭკუაო“.

„გუმარის“ მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ ბოლო თამაშში მასპინძლებს ასეთი გუნდი შეახვედრა: ი. ლეჟავა; მარჯანიშვილი, ჩიქვინიძე, ბესელია, ჯანელიძე; მაჩიტიძე, ჭეიშვილი; ჩიქავა, ბერიაშვილი (ზ. მოდებაძე), ცაბაძე; მგელაძე, რაფავა; ობოლაძე, ზ. ლეჟავა, დიდებულიძე. ჩვენები ჯერ 10:0 იგებდნენ, მერე 17:6, ბოლოს კი 23:9. ცაბაძემ გაიტანა ორი ლელო, ი. ლეჟავამ ორ-ორი გარდასახვა და საჯარიმო, მაჩიტიძემ კი — ერთი არეკნი. ამ გოლით ანგარიში გახსნილა.

ჩვენები მაშინღა დამშვიდებულან, მოედანზე სავარჯიშოდ გასული ფრანგები რომ უნახავთ. ეს ბიჭები ალნაგობით ჩვენებს აშკარად ჩამოუვარდებოდნენ. მართლაც, ჩვენმა მორკინალებმა ისინი ერთობ დაჯაბნეს. როგორც იქაური გაზეთი „თავისუფალი სამხრეთი“ წერდა, თავი რაფავას, ობოლაძესა და ცაბაძეს გამოუჩენიათ. მაჩიტიძეს ჭკვიანურად წარუმართავს თამაში, უკანა ხაზს კი, რომელიც თითქმის იმავე შემადგენლობით 1989 წელს სსრკ პირველობის მეორე ჯგუფში ჯარის გუნდში თამაშობდა, მეტოქე საერთოდ არ გაუხარებია.

მასპინძლები უიმედოდ აგებდნენ. ამ შემთხვევისათვის ფრანგებს თადარიგში ყოველთვის აქვთ ნაცადი იარაღი — მუშტიკრივი. 77-ე წუთზე 60-წამიანი ჩხუბი ატყდა. „იბერვიზიას“ უჩვენებია ეს ჯგუფური ბრძოლა. იმავე გაზეთს შეუნიშნავს, ლაჩარმა ფრანგებმა კრივიც წააგეს, უკანაც დაიხიეს და მოედნის ირგვლივ ღობე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ლტოლვილნი ეგებ მეზობელ ქალაქამდეც ჩასულიყვნენო.

ერთი სიტყვით, ქართველებმა დაამტკიცეს, რომ თუ პატრონი ეყოლებათ და თანაც ივარჯიშებენ, ცნობილი ქვეყნების გუნდების დამარცხებაც შეუძლიათ. როგორც „თავისუფალი სამხრეთი“ აღნიშნავს, „ლელოს შვილები შემზარავი ძალის მორაგბეები არიანო“.

[illegible]
ბიძინა გეგიძისა და მწვრთნელ გურამ მოდებაძის ნაუბრის მიხედვით შეთხზა

ზაალ ბიბინეიშვილმა

# 164:13 — ახალი რეკორდი

**სამხრეთი აფრიკა ბრიტანეთში**

(II თამაში) 26.X. ნიუპორტი. უელსი „ა“ 13 (ლ: ვოკერი) — „ქურციკები“ 25 (3ლ: პატი, ფრენი, სტრაული). (III) 29.X. „პლანეპლი“ 12 (7) (2ლ: ვინთელი, პროქტორი, გ: სთივენსი). — „ქურციკები“ 30 (20) (4ლ: სტრანსკი, ვანდენბერგი, ჟუბერი, პინარი; 2ს: სტრანსკი, ჟუბერი; 2გ: სტრანსკი, ჟუბერი)

**აზიის პირველობა**

მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი. კუალა-ლუმპური (მალაიზია)

„ა“ ქვეჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 0 | 220: 17 | 6 |
| ტაივანი | 2 | 1 | 53: 80 | 4 |
| მალაიზია | 1 | 2 | 47:138 | 2 |
| შრი ლანკა | 0 | 3 | 30:115 | 0 |

„ბ“ ქვეჯგუფი

27.X: ჰონკონგი 164 (26ლ, 17გ) — სინგაპური 13; კორეა 65 — თაილანდი 13

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კორეა | 3 | 0 | 183: 33 | 6 |
| ჰონკონგი | 2 | 1 | 274: 41 | 4 |
| თაილანდი | 1 | 2 | 82:163 | 2 |
| სინგაპური | 0 | 3 | 21:323 | 0 |

ფინალი. 29.X: იაპონია 26 — კორეა 11

სამხრეთაფრიკელებს წესად აქვთ, ტურნეზე ქურციკის ფიტული რომ წაიყოლონ. რომელი გუნდიც პირველი სძლევს სტუმრებს, ამ ფიტულს თავს წაავდებინებს და თავისს მუზეუმში ანაც ბარში საპატიო ადგილზე გამოფენს.

წინა კვირაში უელსელები ორჯერ ამაოდ დაშვრნენ. ორივე თამაშის დროს ქინძლავდა. დასავლეთი უელსის სარაგბო დედაქალაქ პლანეპლიში „ქურციკებმა“ შუა კვირის შემადგენლობიდან ორად-ორი მოთამაშე დაიტოვეს. ამ ტურნეზე პირველად ითამაშა ფრთამ და კაპიტანმა პინარმა, 8 ნომერი სტრაუსი კი თურმე ჯერაც დაშავებულია. მასპინძლებმა „ქურციკებს“ უელსის ნაკრებში ნათამაშევი ერთბაშად 11 კაცი გამოუყვანეს, მაგრამ მათს მობილურ შერკინებას ვერაფერი დააკლეს. სტუმრებმა პირველი ლელო ქუთაისურად გაიტანეს: მეტოქის კარის ხაზთან დანიშნულ შერკინებაში მცველი ჟუბერიც კი ჩაება, იქიდან მიღებული ბურთით კი 10 ნომერმა სტრანსკიმ მოკლე ფრთაზე გაიძუნძულა. სტრანსკის მანამდეცა და მერეც ბევრი დარტყმა გაუცუდდა, რის გამოც დამრტყმელობა ჟუბერს გადააბარა.

ახალ ზელანდიაში გაგრძელდა ოკლენდ — ჩრდ. ნავსაყუდლის ფინალის ჩხუბების განხილვა. ოკლენდისა და „ოლ ბლექსის“ 8 ნომერ ზინზან ბრუკს ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რის გამოც 1996 წლის მარტში „ზე-ათის სერიალის“ საწყისი ორი თამაში (ტონგასთან და ქვინზლენდთან) გაუცდება. წინადღით ზელანდიელებმა ზინზანი წლის საუკეთესო მორაგბედ შერაცხეს.

აზიის ბოლო პირველობაზე მორიგი მსოფლიო რეკორდები დამყარდა. ჰონკონგმა სინგაპურს 164 ქულა გაუტანა, მცველმა აშლი ბილინგთონმა 10-ჯერ შეაღწია მეტოქის ლელოში, 10 ნომერმა მაქქოიმ კი 17 ლელო გარდასახა. შედეგიანობის ძველი რეკორდი — 111 ქულა ზიმბაბვეს ეკუთვნოდა 1987 წლიდან: მაშინ აფრიკის თამაშებზე ამ ქვეყანას ნიგერია გაუნადგურებია.

ასე იყო თუ ისე, ჰონკონგი ოდნავ ჩამორჩა კორეას, კორეა ასევე ოდნავ — იაპონიას, რის შედეგადაც აზიის ჩემპიონობა და საგაისო მსოფლიო თასის ერთადერთი და ბოლო საგზური იაპონიას ერგო. აზიელები ახალი ზელანდიის, ირლანდიისა და უელსის კომპანიაში „გ“ ქვეჯგუფში ითამაშებენ.

**რაგბის კავშირის თასი**

29.X. ვაკე. ყორჩები 24 (2ლ: ..., ჩიქავა; გ, 3ს, ა: ტეფნაძე) — აზოტი 15 (2ლ; გ)
31.X. ვაკე. აზოტი არ ეწვია თბილისს

| | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 2 | 0 | 0 | - | 15:10 | 2-1 | 4 |
| ყორჩები | 2 | 1 | 0 | 1 | - | 34:30 | 3-4 | 2 |
| აზოტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 15:24 | 2-2 | -1 |

**ხსოვნის ტურნირი**

ვაკე. 24.X: ვეტერანები 27 — ჭაბუკები „ბ“ 14; გუმარი 38 — ჭაბუკები „ა“ 22. 25.X: ჭაბუკები „ა“ 30 — ვეტერანები 22; გუმარმა დაამარცხა ჭაბუკები „ბ“. 27.X: გუმარი 39 (7ლ, 2გ) — ვეტერანები 29 (4ლ, 3გ, ს)

# ნუთუ ამითი მორჩა სეზონი

გუშინ ნაშუადღევს მშვენიერი დარი იდგა ვაკის სტადიონზე. საზოგადოებრიობა დიდი რაგბის საცქერლად შეკრებილიყო, რაკილა კარგად ესმოდა, რომ სეზონი „თბილის“ — „აზოტის“ თამაშით დასრულდებოდა.

მოლოდინი ამაო გამოდგა. რუსთაველებმა ალბათ კარგად ვერ გამოთვალეს — 2-12 ქულით რომ მოეგოთ, პირველებს „ყორჩებს“ გახდიდნენ, 14 ან მეტი ქულით მოგებისას კი კავშირის თასს თავად დაეუფლებოდნენ, და თბილისს აღარ ჩამოვიდნენ, რის გამოც თასიც ჩემპიონ „თბილისს“ ერგო.

ხალხი ეჭვობდა, კავშირს თასი არ ექნება და გამარჯვებულს ალბათ სიმბოლურად დააჯილდოვებსო, მაგრამ მატჩის ჩაშლიდან ნახევარი საათის თავზე ჭავჭავაძის გამზირის გადაღმად მდებარე ოფისიდან რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ბარაქიანი თასი გადმოიტანა და თბილისელთა სიცილ-ხითხითში გამარჯვებულ გუნდს გადასცა.

კავშირის თასის პარალელურად მოეწყო ხსოვნის ტურნირი. ორგანიზატორი მეორე ჯგუფის ჩემპიონი — რაგბის კლუბი „ქორები“ იყო, სპონსორი კი — ფირმა „გუმარი“. შეჯიბრება ე.წ. ოვირ-ის სასადილოში დაღუპულ მორაგბეთა მოსაგონარი ვახშმით დასრულდა. შეხიბრში გაიმარჯვა „გუმარმა“.

კავშირის თასზე თავიდან ორი წრის გამართვას ფიქრობდნენ, მაგრამ ქართული სიზარმაცის გამო ბოლოს ერთი წრე იკმარეს. ერთი სიტყვით, საშინაო სეზონი შარშანდელივით აღარ გაჭიმულა და ოქტომბრის ბოლო დღეს დასრულდა. მიუხედავად ამისა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, საქართველოს ჩემპიონი „თბილისი“ და ფრანგების მძლეველი „გუმარი“ საჩვენებელი თამაშების გამართვას აპირებენ: სავარაუდოდ ბათუმში, სენაკში და თბილისში.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ ისევ ჩვენებური სიზანტე იჩენს თავს და განზრახული არ შესრულდება. სამაგიეროდ, მერე ყველა ერთხმად იწუწუნებს, მეტი თამაშის გამართვა გვინდა, მაგრამ ეს კონსერვატორი რაგბის კავშირი არ გვანებებსო.

## აქეთური, იქითური

ბალახის ჰოკეის ვაჟთა მსოფლიო პირველობის დაწყებამდე სულ ორი კვირა რჩება, ნაკრების მწვრთნელი კი ჯერ ინდოეთმა [illegible] აზიის თამაშებზე. სადაც ორივეს აჯობა სამხრეთმა კორეამ. როგორც [illegible] ჰოლანდიელმა მრჩეველმა [illegible] შენიშნა, აქაურ ხვანჩებში ჩარევა არა მსურს; ისე კი მოგება და წაგება ძმები არიან, რის გამოც მწვრთნელთა გადაყენების მიზანშეწონილება ცოტა არ იყოს მეეჭვებაო.

*

ფიბა-მ კვირას გამოაცხადა, რომ მორიგი მსოფლიო პირველობები, რომელთა გამართვაც 1998 წლისთვისაა დაგეგმილი, მოეწყობა საბერძნეთსა და გერმანიაში. პირველგან ვაჟები იასპარეზებენ, მეორეგან კი — ქალები.

*

ამ კვირაში კიდევ ერთი ვუნდერკინდი შეაბიჯებს პროფესიულ ჩოგბურთში. იგია 14 წლის ამერიკელი ქალი ვინუს ვილიამსი, ვისი სიმაღლეც 186 სანტიმეტრია. ახალბედას ძნელი დებიუტი ელის: თუ პირველ მეტოქეს დაამარცხებს, შემდეგსავე წრეში პირველ ნომრად განთესილ არანტა სანჩეს-ვიკარიოსთან მოუწევს თამაში.

*

ამერიკელ კეტბურთელთა და მათი კლუბების მეპატრონეთა დავაში თვით პრეზიდენტი ქლინთონი ჩაერია. მხარეთა მოსარიგებლად საქსოფონისტმა ბილმა იხმო ყოფილი შრომის მდივანი, მისივე სეხნია, გვარად აშერი, რომელსაც ამგვარ საქმეთა კეთების დიდი გამოცდილება ჰქონია. სწორედ მისი შუამავლობით 1974 წელს შეწყვეტილა ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგის (NFL) ანალოგიური გაფიცვა. ამასობაში კეტბურთელთა მწვრთნელები დაუმთავრებელი სეზონის საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენით არიან დაკავებული, ბარანკევს კი გავრცელდა ცნობა, რომ მოთამაშეთა ყოფილ აგენტს, ვინმე დიკ მოსს დაუარსებია ახალი, ე.წ. გაერთიანებული ლიგა, რომელიც გაისად დიდი ლიგების კონკურენტი გახდება. ამგვარი მეამბოხე ლიგა კეტბურთში ბოლოს 1914 წელს შეუქმნიათ, მაგრამ ერთ წელში გაკოტრებულა.

*

ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) საქმეც რთულადაა. გაფიცული მოთამაშეები არათიერს თმობინ [illegible] უკვე გადაუწყვეტია, რომ თუ მაინცადამაინც მოხერხდა სეზონის დაწყება, მისი პროგრამა ოთხი ტურით მოკვეცოს: თითოეულ გუნდს ორი შინ და ორი გარეთ თამაში გაუუქმდება. აქტიურობს გაფიცულთა თავკაცი, ლოს-ანჯელესელი ვეინ გრეცკი: ამ ვარსკვლავის წინამძღოლობით ლიგის ნაკრები დეკემბერში ევროპაში ჩასვლას აპირებს. ტურნეზე 4-6 საქველმოქმედო თამაშს გეგმავენ. ისინი სავარაუდოდ სტოკჰოლმში, ჰელსინკში, ბერნსა და მილანში უნდა გაიმართოს.

*

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ერთი პირობა 5 ქულით დააჯარიმა „ვასკო და გამა“ იმის გამო, რომ მის ფეხბურთელს, ვინმე ვილიამსს ვითომცდა თავი აურიდებია მატჩისშემდგომი დოპინგ-სინჯის მიცემისათვის. კლუბმა განჩინება გაასაჩივრა და სასჯელის გაუქმებასაც მიაღწია: როგორც გაირკვა, მოთამაშე ბევრს ცდილა, მაგრამ ორი საათი ვერაფრით — მოუშარდავს.

*

პაკისტანში სამ კვირას მიმდინარეობდა თითოდღიანი კრიკეტის სამთა ტურნირი მასპინძელთა, სამხრეთი აფრიკისა და ავსტრალიის მონაწილეობით. გუნდები სულ სხვადასხვა ქალაქში თამაშობდნენ, რაც კრიკეტის ადგილობრივ ქომაგთათვის ჭეშმარიტი ზეიმი იყო. გამონაკლისი გამოდგა ლაჰორიდან 100 კილომეტრით დაშორებული სამრეწველო ქალაქი გუჯრანვალა, სადაც პაკისტან — ავსტრალიის მესამე, მაგრამ არარაფრის გადამწყვეტი თამაში უნდა გამართულიყო. მატჩის დღეს გაწვიმდა, რის გამოც წესითა და რიგით თამაში უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ გულშემატკივრებმა, რომელთა უმეტესობასაც შავ ბაზარზე ბილეთში ათმაგი ფასი მიეცა, იძალეს, მოედნის ღობე გადაანგრიეს, რის გამოც გუნდები იძულებული შეიქნენ, 15-შესვლიანი სასეირო ბლიცი მაინც ეთამაშათ. პოლიციამ ცრემლმდენი გაზი იხმარა, 30 კაცი კი დაშავდა.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66441.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიბინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)